ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4452504

ნომერი: AR1673018

თარიღი : 04.04.2019

გაცემის თარიღი : 10.04.2019

გაცნობის თარიღი : 11.04.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაისურაძე , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა ბაზერაშვილი პ/ნ 13001013408
- გურჯაანი ს. კაჭრეთი მე–18 ქ. N 37

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2019 წლის 04 აპრილის თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული NAR1673018 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.19.19.002.071) გაზის ცისტერნის, როგორც დროებითი დანადგარის განთავსებაზე თანხმობას. ამასთან, აღნიშნულს ითხოვთ I კლასს დაქვემდებარებული შენობა–ნაგებობების მშენებლობა/განთავსებისთვის დადგენილი წესით, მხოლოდ ადგილმდებარეობის მითითებისა და ცისტერნის განთავსების ფოტო–მონტაჟის წარმოდგენის საფუძველზე.

სამსახური პირველ რიგში განგიმარტავთ, რომ ზოგადად ყველა სახის შენობა–ნაგებობების მშენებლობა/განთავსება და მასთან დაკავშირებული პროცედურები რეგულირდება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით, რომლის თანახმად შენობა–ნაგებობები კლასიფიცირდება როგორც მათი პარამეტრების, ისე რისკის შემცველი მახასიათებლების მიხედვით და იყოფიან 5 კლასად. მათგან, I კლასს განეკუთვნებიან ისეთი შენობა–ნაგებობები, რომლებსაც არ გააჩნიათ რისკის შემცველი ფაქტორები და ისინი მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებენ, თუმცა ქალაქ თბილისის ტერიტორიულ საზღვრებში ასეთი შენობა–ნაგებობების განთავსება/მონტაჟი საჭიროებენ ამავე დადგენილების 66–ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებას და ქალაქტმშენებლობით დოკუმენტაციასთან მათი შესაბამისობის შემთხვევაში, სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისგან, მათი განხორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურებას. რაც შეეხება დანარჩენ კლასებს, მათგან II, III და IV კლასებს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობებზე, რომლებიც ხასიათდებიან რისკის ფაქტორების სხვადასხვა ხარისხით (დაბალი, საშუალო და მაღალი), მშენებლობის ნებართვა გაიცემა 3 (სამი) სტადიით (I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები; II სტადია – არქიტექტურულ – სამშენებლო პროექტის შეთანხმება და III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა) ან გამარტივებული წესით, I სტადიითა და II და III სტადიების ერთ ადმინისტრაციულ წარმოებაში გაერთიანებით. V კლასის (განსაკუთრებული მნიშვნელობის) შენობა–ნაგებობებზე კი, რომლებიც ხასიათდებიან რისკის მომატებული ფაქტორით, მშენებლობის ნებართვას სამივე სტადიით გასცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო. ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ რეგულირდება ის ობიექტები (მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები) და მათთან დაკავშირებული პროცესები, რომლებიც საფრთხის შემცველი რისკის მომატებული ხარისხის გამო კვალიფიცირდებიან „მომატებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებად“ და რომელთა ჩამონათვალი განსაზღვრულია ამავე კოდექსის მე–18 მუხლის მე–5 პუნქტით, ხოლო ის ზღვრული ტექნიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც ისინი ითვლებიან მომატებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებად, განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 28.12.12წ. N488 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით. აღნიშნული კოდექსის თანახმად და საქართველოს მთავრობის 10.07.13წ. N173 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად ასეთი ობიექტები ექვემდებარებიან ინსპექტირებას, ხოლო საქართველოს მთავრობის 31.07.12წ. N317 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად ობიექტების უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციას, რასაც, როგორც ამ სფეროში უფლებამოსილი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

რაც შეეხება კონკრეტულად თქვენს მოთხოვნას, გაცნობებთ, რომ გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების მომხმარებლისთვის მიწოდების ობიექტები, მათი სახეობები და მათი უსაფრთხო ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პირობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 15.01.14 წ. N76 დადგენილებით დამტკიცებული „გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების (პროპან–ბუტანი) გაზსავსები სადგურების, პუნქტების, ბალონების, საშუალედო საწყობების, ავტომობილების გასამართი სადგურების, სარეზერვუარო, ჯგუფური და ინდივიდუალური გაზბალონიანი დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით. ამ რეგლამენტის მე–2 მუხლის მე–12 პუნქტის თანახმად, მცირემწარმოებლურობის საწარმო (საამქრო), რომლის დანიშნულებაა გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების მიღება უპირატესად საავტომობილო ტრანსპორტით, მათი შენახვა და მომხმარებლისათვის მიწოდება ბალონებით, ანუ რა მიზნითაც თქვენ გათვალისწინებული გაქვთ ცისტერნის განთავსება, წარმოადგენს მომსახურების ისეთ ობიექტს, რომელსაც ეწოდება „გაზსავსები პუნქტი“, ხოლო რეგლამენტის მე–10 და მე–11 პუნქტებით განსაზღვრულია ის პირობები და მოთხოვნები, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა მისი განთავსების ადგილის შერჩევისა და დაპროექტების დროს. რაც შეეხება ცალკე აღებულ ცისტერნას, მასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 31.12.13წ. N 410 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით და მისი მე–2 მუხლის მე–12 პუნქტის თანახმად, როცა იგი, ისევე როგორც მსგავსი დანიშნულების სხვა მოცულობითი ნაკეთობები (ბალონი, კასრი და სხვა), განკუთვნილია გაზების წნევის ქვეშ მოსათავსებლად, მათი შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის,

მას ეწოდება „წნევაზე მომუშავე ჭურჭელი“. თავის მხრივ კი ასეთი ჭურჭელი, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“–ს მე–18 მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს „მომატებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს“ და მასზე ვრცელდება ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. გარემოებათა დამატებით გამოკვლევის, სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთან საკითხების დაზუსტების და მათი შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ ცისტერნის განთავსებით და მხოლოდ მისი საშუალებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი „გაზსავსები პუნქტი“–ს ტექნოლოგიური გამართულობა, სრულყოფილი ფუნქციონირება და მისი უსაფრთხო ექსპლუატაცია, რის გამოც იგი უნდა დაპროექტდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N76 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე–3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად. ხოლო ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან ცისტერნა, როგორც „წნევაზე მომუშავე ჭურჭელი“ თავად წარმოადგენს „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს“ და ამასთანავე „გაზსავსები პუნქტის“ ძირითად ტექნოლოგიურ მოწყობილობას, მისი საფრთხის შემცველი მახასიათებლები ვრცელდება მთლიანად „გაზსავსებ პუნქტზეც“. აქედან გამომდინარე კი დადგინდა, რომ „გაზსავსები პუნქტი“, ანალოგიურად გაზგასამართი სადგურისა, განეკუთვნება IV კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობებს და იგი საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას სამივე სტადიით, რომელთაგანაც I სტადიაზე, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო, ჩართული უნდა იქნას სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ამ ეტაპზე სამსახური თქვენს მოთხოვნას გაზის ცისტერნის, როგორც I კლასის დროებითი დანადგარის მითითებულ ადგილზე განთავსების თაობაზე, ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.